პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 183 (12097) | შაბათი, 12 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის მიტინგი

კრემლის დიდ სასახლეში

კრემლის დიდი სასახლე. 11 აგვისტოს აქ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის მიტინგზე შეიკრიბნენ დედაქალაქის ფაბრიკების, ქარხნების, დაწესებულებების მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები, მოსკოვის ოლქის მინდვრის მშრომელები, მწენებლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მწერლები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების წევრები.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გეორგე გეორგიუ-დეჟს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს იონ გეორგე მაურერს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, გ. ი. ვორონოვს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა. შემდეგ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ე. ი. აფანასენკო, ქარხანა „ნამგალისა და უროს“ უფროსი მვალცავი კომუნისტური შრომის დამკვრელი ნ. მ. მიტიუშინი, ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ზ. დ. ხრიაჩკოვა, კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მქსოველი ე. ნ. ევდოკიმოვა. ისინი გულითადად მიესალმნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, სიამაყით აღნიშნეს მოძმე რუმინელი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მან ილაპარაკა საბჭოთა და რუმინელი ხალხების მეგობრობაზე, იმ თვალსაჩინო წარმატებებზე, რომლებიც სახალხო რუმინეთის მშრომელებმა მოიპოვეს. სიტყვის დიდი ნაწილი მიეძღვნა საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეეჯიბროს კაპიტალისტურ ქვეყნებს მშვიდობის პირობებში, ომის მუქარის, ომის იარაღების გამოუყენებლად. ჩვენ მოვითხოვთ მივუჯდეთ მოლაპარაკების მაგიდას, ხაზგასმით აღნიშნა მან, და ვნებათა ღელვის გაუღვიძებლად, მშვიდად, საქმიანად განვიხილოთ, თუ რა ვიღონოთ იმისათვის, რომ წარსული ომისაგან შემკვიდრეობად დატოვებულ ყანაში არ აღმოცენდეს ახალი კონფლიქტების თესლი. ნ. ს. ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა ქვეყნის ყველა მუშას, ტექნიკოსს, ინჟინერს, მეცნიერს, მოსამსახურეს იმისათვის, რომ მათ სწორად გაუგეს მთავრობას და მხარს უჭერენ მას.

დარბაზში კვლავ გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, როცა თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გეორგე გეორგიუ-დეჟს.

ამხანაგმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა საბჭოთა ადამიანებს გადასცა რუმინელი ხალხის მხურვალე მძური სალამი და თქვა, რომ დელეგაციის ყოფნა საბჭოთა კავშირში გადაიქცა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად. რუმინელი მშრომელები, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ფართოდ იყენებენ საბჭოთა ხალხის გამოცდილებას კომუნისტურ მშენებლობაში. სკკპ პროგრამის პროექტი ძვირფასი კუთვნილებაა აგრეთვე რუმინეთის მუშათა პარტიისათვის. გეორგე გეორგიუ-დეჟმა აღნიშნა რუმინელი და საბჭოთა ხალხების პოზიციათა სრული ერთიანობა სოციალისტური მშენებლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებში.

მიტინგი დამთავრდა. იგი საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური ერთიანობისა და თანამშრომლობის ახალი მკაფიო დემონსტრაცია იყო.

მიტინგის მონაწილენი მხურვალედ მიესალმებოდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის მეთაურობით და მისი სახით სახელოვან რუმინელ ხალხს, რომელიც მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ყველა ხალხთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მტკიცე რწმენით მიდის ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით. (საკდესი).

ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას!

შენთვის, ჩემო სამშობლო!

თბილისის კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივმა შვიდწლედის მესამე წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობის მაღალი ტემპი აიღო და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. წარმოების კოლექტივმა შვიდი თვის გეგმა 121,4 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9.100 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 3.770 ცალი უნიტაზი და პირსაბანი.

კომბინატის კოლექტივს ვალდებულებით წლის ბოლოსათვის უნდა გამოეშვა 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, შვიდ თვეში უკვე გამოუშვა 225 ათასი მანეთისა. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7,2 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირა 3,1 პროცენტით. მკვეთრად გააუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში უკვე შეიტანა 88 ათასი მანეთი, მაშინ როცა წლიური ვალდებულება 100 ათას მანეთს შეადგენს.

ამ წარმატებათა მიღწევაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც დ. მინდაშვილი, ფ. კასრელიშვილი და გ. გოგიაშვილი ხელმძღვანელობენ. ცალკეულ დამკვრელებს შორის ყველას გაუსწრო ვ. კასპიშვილმა, კ. კოჩესოვმა, გ. ასლამაზოვმა და ს. ტიმოფეევმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის აგურის ქარხნის (დირექტორი ი. ინგოროყვა) კოლექტივი თავდადებული და გონივრული შრომის შედეგად წარმატებით ასრულებს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

წარმოების კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 3,8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 2,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 277 ათასი აგური, 104 ათასი კვადრატული მეტრი გადასატხრი ფილები, გეგმის გარეშე გამოშვებულია აგრეთვე 724 კვადრატული მეტრი აგურის ვიბრაპანელები. გააუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები. გავლილ პერიოდში წარმოებამ 20 ათასი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა წითელი თიხის კერამიკული საამქრო, რომელიც გამოუშვებს ძველი ქართული კერამიკული ჭურჭლის ყველა სახეობას.

ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა კერამიკული და გადასატხრი ფილების საამქროები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ლ. მოსულიშვილი და ო. სოსელია. ცალკეულ დამკვრელებს შორის ყველას გაუსწრეს და ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებენ ბ. სოზიაშვილი, ა. მეგრელიშვილი, ე. შუბითიძე, ა. მზეიძე, ო. მაჩიტიძე და ს. კუზნეცოვი.

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დამთავრდა სძარე საამქროს მშენებლობა. ქარხნის კოლექტივმა საკუთარი ძალებით განახორციელა საამქროს დანადგარებისა და მოწყობილობის მონტაჟი.

ახალი საამქრო უკვე შეუდგა ავტომანქანის კაბინების გამოშვებას. მისი სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ, ქარხანა შეწყვეტს მანქანის ამ კვანძის კოოპერირებული წესით შემოზიდვას.

საამქროს ახალგაზრდა კოლექტივი პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა და ყოველდღიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას.

გულმოდგინეობა, სიუხვე

საჩხერე. (საკ. კორ.). ბევრი კარგი სოფელია ამ მხარეში და მათ რიცხვშია ოღოლელი, რომელიც განთქმულია გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებით.

აქ გულმოდგინედ დაამუშავეს ზვრები და სიმინდის ყანები. თავდადებულად შრომობენ კოლმეურნეები ზ. კაპანაძე, ლ. ჭიღლაძე, ნ. ფოფხაძე, გ. კალმახელიძე და სხვები.

კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 60 ცენტნერი სიმინდი და 80 ცენტნერი ყურძენი.

ოღოლელ კოლმეურნეებში დიდი სიხარული გამოიწვია პარტიის პროგრამის პროექტმა. ისინი ჯოლდასმით ეცნობიან და სწავლობენ ამ ისტორიულ დოკუმენტს, აძლიერებენ მუშაობას, რათა ბარაქიანი შემოდგომით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. აბზიანიძეს ალექსანდრე ისიდორეს-ძეს — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს

2. ახვლედიანს შოთა ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგის მოადგილეს

3. გორგაძეს მიხეილ ანფიმის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

4. გოლოვნიას ლევ ვასილის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

5. ერისთავს ზნია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის დირექტორს

6. ჩიკვაიძეს გიორგი ბაგრატის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

7. ცხვედაძეს მიხეილ ზაქარიას-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

თბილისი.
1961 წლის 11 აგვისტო.

მოდის ზეგეგმითი მარგანეცი

ბიათურა. (საკ. კორ.) ქართველი მაღაროელები პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან. ჭიათურელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს—ექვსი დღით ადრე შეასრულეს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდი თვის დავალება და აგვისტოს ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ათობით ეშელონი მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

წარმატებით მუშაობენ კალინინის, დიმიტროვის, სტალინის, ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ისინი კარგა ხანია მარგანეცს აგვისტოს ანგარიშში იძლევიან.

155 ტონის ნაცვლად 180 ტონა

ფულუკიძის რაიონის სოფელ გოჩაჯიბაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრიგადები, რგოლები, კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სამაგალითოა შრომაში მეხუთე ბრიგადის მეჩაიე კომუნისტი გალინა ქაშიბაძე, რომელიც რამდენიმე წელია 0,4 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. იგი ყოველწლიურად ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. შარშან თავის ნაკვეთში გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამის ნაცვლად 3.683 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. წელს გალინა იმავე ნაკვეთიდან 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის იბრძვის. უკვე მოკრეფილი აქვს 2.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ქაშიბაძე თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მეჩაიეებს, რომელთაგან ბევრი მხარს უსწორებს მას. ერთი მათგანია კომკავშირელი გოგონა, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ლიანა ჩომახიძე. ლიანა 0,3 ჰექტარ პლანტაციას უვლის და უკვე 2.400 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ბეჯითად შრომობენ მეჩაიეები სონია ჩომახიძე, ქეთო საღარეიშვილი, თალიკო კიკალიშვილი და სხვები.

გოჩაჯიბაიშელ კოლმეურნეთა მთელი მუშაობა ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ მთლიანად გამოიყენონ რეზერვები და წლიური გეგმით გათვალისწინებული 155 ტონის ნაცვლად მოკრიფონ 180 ტონა „მწვანე ოქრო“, სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას.

გ. გეგუჩაძე.

თამგაქოს ჩაგარეგა დაიწყო

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). ემზადებიან რა სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რაიონის კოლმეურნეობები გასულ წელთან შედარებით რამდენიმე დღით ადრე შეუდგნენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარებას. დამამზადებელ პუნქტს პირველ დღეს 14 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია ჩაბარდა.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარებას რაიონში პირველნი შეუდგნენ სოფლების ცოდნისკარის, კალინოვკისა და გურგენიანის კოლმეურნეობები.

ზუგდიდის რაიონში, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება მეჩაიეთა მოწინავე რგოლზე, პირველ რიგში ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ რგოლს დაასახელებენ. რგოლმა ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ახლა ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში კრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს. რგოლის წევრებმა გადაწყვიტეს საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფონ 10,5 ტონა ჩაის ნედლეული. რგოლს კარგად უძღვება კომკავშირელი გოგონა ნუცა ჯოჯუა. პირადი შრომით იგი მაგალითს აძლევს რგოლის დანარჩენ წევრებს.

სურათზე: ნუცა ჯოჯუა.

განხორციელდა კაცობრიობის გაბედული ოცნება

გერმანე ტიტოვის გაფრენისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია

მოსკოვი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საატო დარბაზში გაიმართა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია, მიძღვნილი მეორე კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაფრენისადმი, ხომალდისა, რომელშიც ადამიანი იმყოფებოდა.

ამ შეხვედრამ, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოაწყეს, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა გ. ს. ტიტოვმა და საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, რომელმაც გახსნა პრეს-კონფერენცია.

მ. ვ. კელდიშის გამოსვლა

1961 წლის 6 აგვისტოს 9 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე ახალი გაშვება მრავალტონიანი კოსმოსური ხომალდისა „აღმოსავლეთი-2“, რომელსაც მართავდა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი.

ამხანაგმა ტიტოვმა 25 საათსა და 18 წუთში ორბიტაზე გაიფრინა 700 ათას კილომეტრზე მეტი, 17-ჯერ და მეტჯერ შემოუარა დედამიწას და 7 აგვისტოს 10 საათსა და 18 წუთზე დაჯდა დასახულ რაიონში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

მხოლოდ მომდინარე წლის 12 აპრილს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილმა საბჭოთა კოსმონავტმა იური გაგარინმა გაანახორციელა პირველი გაფრენა დედამიწის გარშემო კოსმოსური თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-1“-ით და დასაბამი მისცა კოსმოსური ფრენის ერას. ოთხი თვეც არ გასულა და კოსმონავტმა გერმანე ტიტოვმა განახორციელა ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა. მან კოსმოსში გაიარა გზა, რომელიც უტოლდება მანძილს დედამიწიდან მთვარემდე და უკან, რის შემდეგ მშვიდობიანად დაბრუნდა მშობლიურ მიწაზე. იური გაგარინის გმირობას სამართლიანად ვადარებდით კოლუმბისა და მაგელანის გმირობას. გერმანე ტიტოვის ფრენა შეუდარებელია ყოველივე იმასთან, რაც იცის კაცობრიობის ისტორიამ. ეს გაფრენა ახალი უზარმაზარი ნაბიჯია კოსმოსური სივრცის ჟოვიესების გზაზე, ახალი ისტორიული გამარჯვებაა.

შესანიშნავი ფრენა თანამგზავრი ხომალდისა „აღმოსავლეთი-2“ მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევაა. განსაკუთრებული მიღწევები რაკეტულ ტექნიკაში, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა კავშირში, ჩვენმა ქვეყანამ ჩააყენა მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის სამსახურში.

საბჭოთა თანამგზავრი ხომალდების გაფრენები ცხადყოფენ, რომ ახლოდება ის დრო, როცა ადამიანი შეძლებს შორს შეაღწიოს კოსმოსურ სივრცეში, განახორციელოს საეკუნეობრივი ოცნება მთვარეზე, მარსზე, ვენერაზე და სამყაროს კიდევ უფრო შორეულ სივრცეებში გაფრენების შესახებ. კაცობრიობა შევიდა ბუნების ის სანუკვარ საიდუმლოებათა დაფიფლების ახალ ეპოქაში, რომლებიც დაფარულია კოსმოსის სივრცეებში. ახალი მოვლენები, რომელთაც შეეხვედით სხვა პლანეტებზე, გამოყენებულ იქნება დედამიწაზე ცხოვრების გაუჯობესებისათვის.

კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-2“ მეცნიერული და კონსტრუქტორული აზრის უდიდესი მიღწევაა. ხომალდში შექმნილია ყველა პირობა ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის უზრუნველყოფად. ხომალდი აღჭურვილია ფრენისა და მიწაზე ხომალდის დაჯდომის ავტომატური მართვის მოწყობილობებით. ამასთან არის იმის შესაძლებლობა, რომ კოსმონავტმა მფრინავმა უშუალოდ ხელით მართოს ხომალდი. კოსმონავტს შეუძლია განახორციელოს მეცნიერული დაკვირვებისათვის საჭირო მანევრები ორბიტაზე და შეუძლია დაჯდეს დედამიწის რომელიც უნდა იყოს ბუნებაში. უზრუნველყოფილია დედამიწასთან კოსმონავტის განწყობილი კავშირის შესაძლებლობა. მთელი ფრენის დროს კოსმონავტი აწარმოებდა საუბარს, იუწყებოდა, თუ როგორ მუშაობდა ხომალდისა და მისი მოწყობილობის კონსტრუქცია, როგორ სრულდებოდა ფრენის პროგრამა, რა დაკვირვებებს ახდენდა და თავს როგორ გრძნობდა. იგი დედამიწიდან იღებდა განუწყვეტელ ცნობებს. თანამგზავრი ხომალდი აღჭურვილი იყო კოსმოსური ფრენის საკვლევი და კოსმონავტის მდგომარეობის შესახებ ობიექტური მაჩვენებლების მისაღები მეცნიერული აპარატურით.

კოსმოსური ხომალდის ფრენამ უძვირფასესი მეცნიერული შედეგები მოიტანა. ეს შედეგები დამუშავების შემდეგ გამოქვეყნდება და მთელი მსოფლიოს მეცნიერთა კუთვნილება გახდება.

გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვმა, საბჭოთა ხალხის შესანიშნავმა მფრინავი ხალხისა და ლენინური კომუნისტური პარტიის აღზრდილმა, გამოიჩინა დიდი მამაცობა და გამბედაობა, უნარი და ორგანიზებულობა და ბრწყინვალედ განახორციელა პასუხსაგები, რთული გაფრენა კოსმოსში. მან გმირობა ჩაიდინა მეცნიერებისათვის, ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ, მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესისათვის.

ძვირფასო გერმანე სტეფანეს-ძე! მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი კაცობრიობა სულგანაბული აკვირდება თვალყურს თქვენს უმაგალითო ფრენას. საბჭოთა ადამიანები აღტაცებით შეგხვდნენ შშობლიურ მიწაზე დაბრუნებისას, ჩვენს დედაქალაქში — მოსკოვში დაბრუნებისას. პარტიამ, მთავრობამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა მაღალი შეფასება მისცეს თქვენს ღირებულ გმირობას. თქვენ მოგენდოთ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება და საბჭოთა კავშირის კოსმონავტი მფრინავის წოდება.

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ, ძვირფასო გერმანე სტეფანეს-ძე. მეცნიერებათა აკადემიის, საბჭოთა კავშირის ყველა მეცნიერის სახელით, ამ დარბაზში ყველა შეკრებილთა სახელით.

პრეზიდიუმმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა ხალხის მეცნიერებათა აკადემიამ გაითვალისწინა გერმანე ტიტოვის მიერ განხორციელებული კოსმოსური ფრენის

(დასასრული მე-2 გვ.).

გულითადობის ვითარებაში

მოსკოვი, 10 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გეორგე გეორგიუ-დეჟმა** 10 აგვისტოს დარბაზობა გამართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ი. გ. მაურერი,** რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ჩაუშესკუ,** რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი **ლეონტე რეუტუ** და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი,** ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, გ. ი. ვორონოვი,** სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშალები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სტუმრებს შორის იყო სახელგანთქმული კოსმონავტი საბჭოთა კავშირის გმირი **გ. ს. ტიტოვი.**

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგმა **გეორგე გეორგიუ-დეჟმა** სიტყვით მიმართა დამსწრეთ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტიური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ 11 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომუნიკეს

მოსკოვი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს კომუნიკეს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტად იმყოფებოდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია,

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ს. ხრუშჩოვმა** და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **გეორგე გეორგიუ-დეჟმა.**

კომუნიკეს ხელის მოწერას დაესწრნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, გ. ი. ვორონოვი** და სხვა ოფიციალური პირნი.

რუმინეთის მხრივ კომუნიკეს ხელის მოწერას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **იონ გეორგე მაურერი** და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

მილოცვა დიადი გამარჯვების გამო

მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში კვლავ მოდის საზღვარგარეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა საბჭოთა ხალხისა და კოსმონავტი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის გ. ს. ტიტოვისადმი მილოცვის დეპეშები კოსმოსის დაპყრობაში ახალი ბრწყინვალე გამარჯვების გამო.

მილოცვა გამოგზავნეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ, ბელგიის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა მდივანმა ედ ბლუმმა, იაპონიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ სანძო ნოსაკამ, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის გენერალურმა მდივანმა მანუელ მორა ვალვერდემ, იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ძეტაარო კავაკამიმ.

მისალმების დეპეშები გამოგზავნეს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ბოლივიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ირანის სახალხო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, დიდი სომალის ლიგამ.

საბჭოთა ხალხს მიუოლოცეს კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მაიორმა ფიდელ კასტრო რუსმა და კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზი

განხორციელდა კაცობრიობის გაბედული ოცნება

(დასასრული)

უდიდესი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, კოსმონავტიკისათვის და მიანიჭა მას რაკეტული ტექნიკისა და კოსმოსური ფრენის ფუძემდებლის კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის ორდენს მედალი.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა გადასცა გერმანე ტიტოვს სამეფო ჯილდო.

სიტყვა ეძლევა კოსმონავტ შფრინავს, სამეფოთა კავშირის გმირს გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს. გმირი, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ, იწყებს თავისი ამბის მოყოლას.

გ. ს. ტიტოვის გამოსვლა

თქვენ ალბათ თვითონ ხედავთ, რომ პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა ჩემთვის უჩვეულო საქმეა. მეძნელება გადმოცემა ის არაჩვეულებრივი რამ, რაც ვნახე და განვიცადე კოსმოსში, მეძნელება გითხრა, თუ რატომ გახდა შესაძლებელი ეს ოცდახუთი საათის ფრენა კოსმოსურ სივრცეში.

სიძნელე კიდევ ის არის, რომ მე ეს გაფრენა ბუნებრივ მოვლენად მეჩვენება, დიდხანს ვემზადებოდი და თითქოს შევეჩვიე მას. თქვენ კი რაღაც არაჩვეულებრივს, უჩვეულო განცდებსა და შთაბეჭდილებებს მოელით ჩემგან.

შევეცდები გითხრათ ყველას ფრენის შესახებ როგორც შევძლებ, გითხრათ ჩემი შთაბეჭდილებანი.

რამ შეუწყო ხელი ფრენის წარმატებას? რამ ჩამინერგა ფრენის წარმატების რწმენა?

ჯერ ერთი, კარგად ვიცოდი, რომ ხომალდი ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა გააკეთეს. მე დაწვრილებით შევისწავლე ხომალდი. ხომალდი, მისი კონსტრუქცია და აპარატურა არაერთხელ გამოვცადეთ ფრენაში.

მეორე, მე ვიცოდი, რომ ყველაფერი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ცხოველქმედებას ხომალდის კაბინაში, შემოწმებული იყო მრავალი ექსპერიმენტით დედამიწაზე და ფრენაში. მესამე, თქვენ ალბათ იცით, რომ პროფესიით მფრინავი — გამანადგურებელი, ვარ. თანამედროვე ავიაგამანადგურებლ ით ფრენის პრაქტიკაში გარდაუვალია მწკვეთი სიტუაციები, რომლებიც მოითხოვენ მათი წარმოშობის მიზეზების დაუყოვნებლივ გარკვევას და ელვისებური რეაქციას. მფრინავ-გამანადგურებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს თავისებური ავტომატიზმი, რომელშიც აზროვნება და მოქმედება გაერთიანებულია. ისეთი ავტომატიზმი, რომელშიც ძნელი გასარკვევია, რა უფრო აზრი, ხდება, მოქმედება თუ მსჯელობა. ამრიგად, თვითმფრინავ-ავიაგამანადგურებლებით ფრენის გამოცდილება ძალიან დამეხმარა შორეულ კოსმოსურ ფრენაში. გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი ხომალდით ფრენისათვის.

და, რა თქმა უნდა, მორალური ფაქტორი.

მე ვიცოდი, ყოველ წამს მახსოვდა და ვამაყობდი იმით, რომ საბჭოთა ხალხმა, პარტიამ, მთავრობამ და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, რომელიც ჩვენ ყველას გვიყვარს და პატივს ვცემთ როგორც ჩვენს ხელმძღვანელსა და გულითად ადამიანს, მე მომანდეს ამ ფრენის განხორციელება. ჩემი სამშობლოსათვის და ნდობის გამოცხადებისათვის სიამაყის გრძნობა შთამაგონებდა. ეს წარმატებითი გაფრენის მეოთხე და შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორია.

თქვენ ალბათ ძალიან გაინტერესებთ, როგორ მიმდინარეობდა ფრენა?

რაკეტა დედამიწას მოსწყდა ზუსტად 9 საათზე მოსკოვის დროით.

გადატვირთვა, ხმაური და ვიბრაცია გაუვლია უბანზე ჯარგად ადაპტანტე და უსიამოვნო შეგრძნება არ მქონია. გაუვლია უბანზე დაკვირვებას ვეწარმოებდი ილუმინატორებში და ხელსაყრელზე დამყარებული ეკრანებიდან ჩემს ნებას, ჩემს ხელს, მუშაობდა შემოვლისას მიცნიერული დაკვირვების პროგრამის შესაბამისად ერთხელ კიდევ ჩავრთო ხელი მართვა.

ამავე დროს ვაწარმოებდი დაკვირვებას ილუმინატორებით, დამყარებული ქმნილა რადიოკავშირი.

უნდა ითქვას, რომ მთელი ფრენის მანძილზე ხორციელდებოდა საინჟინრო ორმხრივი კავშირი დედამიწასთან მოკლე და ულტრამოკლე ტალღებით. მაშინაც კი, როცა სსრ კავშირიდან ყველაზე დაშორებულ ორბიტის წერტილზე ვიყავი, „ოდესაკავშირი სახმეცნიერო ბანდერიბს, ვისმინენ მათს ცნობებს და გადაეცემდი ჩემსას.

ხომალდში გარდა ორმხრივი კავშირის აპარატურისა, დადგმული ფართო მაფენყობილობის მიმღები, — მისი დახმარებით ვისმენდი მოსკოვისა და სხვა რადიოსადგურების ათადაცემებს.

მეორე შემოვლისას მოვახსენე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას. ამბანავ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს ორენის შიმფინარეობის შესახებ და მალე მივიღე ამბანავ ხრუშჩოვის სასასუხო ლიპეშა. რამაც ძალიან მასიამოვნა.

ფრენის დროს ჩვეულებრივ გადაეცემდი მისალმებებს ჩემს ამხანაგებს, მოსკოველებს, საბჭოთა კავშირის, ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის ხალხებს.

ძალიან საინტერესოა დედამიწის დაკვირვება კოსმოსიდან. მოჩანს მდინარეები, ზღვები, დამუშავებული მინდვრები (მომკილი, მოხნული, მოუმკელი ყანები და სხვ. გამოირჩევა ფერით). კარგად მოჩანს ღრუბლები, ისინი ადვილად გამოირჩევა თოვლისაგან ჩრდილოთ, რომელიც ეფინება დედამიწის ზედაპირს. ზოგჯერ ილუმინატორში გამოჩნდება დედამიწის ჰორიზონტი — მეტად საინტერესო სურათია — ცისარტყელას ყველა ფერში მოჩანს გადასვლა განათებული დედამიწიდან შავი ცისკენ. ცისფერი შარავანდედი. ზოგჯერ ისეა, თითქოს დედამიწა თავზე ჰკიდია, — უნებურად ფიქრობ, —რას უჭირავს იგი?.

ილუმინატორს ორჯერ ჩაუარა ნამგალა მთვარემ. იგი ისეთივეა როგორც დედამიწიდან მოჩანს.

მთელი ფრენის დროს კაბინაში ნორმალური კლიმატური პირობები იყო: ატმოსფეროს წნევის თანაბარი წნევა, ნორმალური ტემპერატურა, ჰაერის ჩვეულებრივი გაზის შემადგენლობა, არავითარი სუნი — ერთი სიტყვით კონდიციონირების სისტემა ფრენის დროს ძალიან კარგად მუშაობდა.

დაახლოებით 12 საათსა და 30 წუთზე ვისადილე, ხოლო მეექვსე შემოვლაზე — ვეკაბშმე. გულახდილად რომ ვთქვა, მაინდამაინც დიდი მადა არა მქონია — გაკვლევას ახდენდა უწონობის არაჩვეულებრივი ხანგრძლივი შეგრძნება, იგრძნობოდა ერთგვარი აგზნება, მაგრამ პროგრამა პროგრამაა, და მე ბას ვასრულებდი. რა თქმა უნდა. ვისარგებე სასასენიაციო მოწყობილობითაც, რომელიც ნორმალურად მუშაობდა.

მეშვიდედან მეთორმეტე შემოვლამდე პროგრამით გათვალისწინებული იყო ძილი და დასვენება. ეს ზუსტად შევასრულე. მთელი დრო როდი მეძინა. ზოგჯერ მეღვიძებოდა, მაგრამ შემდეგ მომიწონა... მოკლე ტალღიანი კავშირის სეანსიც კი გამოვტოვე. რომელიც უნდა დამეწყო 2 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით. გამეღვიძა მეცამეტე შემოვლის დასაწყისში.

ფრენის დროს ვასრულებდი გამამხნევებელ ვარჯიშს და ყოველგვარ თვითდაკვირვებას პროგრამის მიხედვით, რომელიც ჩვენმა ექიმებმა შეადგინეს.

ფრენის პროგრამა მთლიანად შევასრულე.

მე-17 შემოვლის დასაწყისში ფრენის პროგრამის შესაბამისად ჩავრთე ავტომატიკა, რომელიც უზრუნველყოფს ხომალდის დედამიწაზე დედამიწაზე გათვალისწინებულ რაიონში. ისევე როგორც წინა ფრენის დროს, ამ ფრენაშიც გამოყენებული იყო ორიენტაციის მთლიანად ავტომატიზებული სისტემა, სამუხრუჭო ძრავის, მართვისა და დაშვების ჩართვა. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შემეძლო განმეხორციელებინა ხომალდის დაშვება დამოუკიდებლად.

ხომალდს ორიენტაცია მიეცა, ჩაერთო სამუხრუჭო ძრავი — და ხომალდი გადაგიდა დაშვების ტრაექტორიაზე. დაშვების წინ ილუმინატორის შტორები არ დამიხურავს და ინტერესით ვაკვირდებოდი ჰაერის კაშკაშს, რომელიც გარს ეკვლებოდა ხომალდს ატმოსფეროს მკვრივ ფენებში შესვლის დროს, და ამ კაშკაშის ფერების შეცვლას სიჩქარისა და სიმაღლის შეცვლის კვალობაზე. როცა გადატვირთვა გამოჩნდა, უწონობის მდგომარეობა დამთავრდა, არავითარი მკვეთრი გადასვლა არ ყოფილა. მე ვგრძნობდი, რომ დაუბრუნდი ჩვეულებრივ მდგომარეობას. მაღალი ტემპერატურებისა და გადატვირთვების ზონის გავლის შემდეგ ამქვეყნიერ დედამიწაზე დაშვების სისტემა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კოსმოსური ხომალდის კონსტრუქცია და დედამიწაზე დაშვების სისტემა ითვალისწინებენ ორ საშუალებას: ხომალდის კაბინაში ან იმ გზით, რომ კოსმონავტს საჭირეი პირობების უზრუნველყოფის ყველა სისტემა ითვალისწინებდა ადამიანის კოსმოსური ფრენის შესაძლებლობას ათი დღეღამის განმავლობაში, გაფრენამდე დიდი მუშაობა შესრულდა საბორტო სისტემების დასამუშავებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ „კოსმონავტის სიცოცხლის საჭირო პირობებს, განხორციელდა მისი გეულდასმით მომზადება და წვრთნა ხომალდი აღმოსავლეთი-2“-ით ფრენისათვის.

ხომალდ „აღმოსავლეთ-2“-ზე განხორციელებული მეცნიერული კვლევის წინასწარი შედეგები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ფრენამ კარგად ჩაიარა. ხომალდის ყველა სისტემა უზრუნველყოფდა საჭირო პირობებს კოსმოსური ხომალდის კაბინაში.

წნევა ხომალდის კაბინაში უდრიდა ერთ ატმოსფეროს. ტემპერატურა მერყეობდა ცელსიუსის 10-დან 22 გრადუსამდე და მისი რეგულაცია ხდებოდა კოსმონავტის თბოგრძნობენთ, ენერგიდან პროცენტული. შეესულობა იყო 25—27 პროცენტი, ნახშირორჟანგისა 0,25—0,4 პროცენტი, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა — 55—75 პროცენტის ფარგლებში.

კოსმონავტის მდგომარეობას და მის საქმიანობას ფრენაში სისტემატურად აკვირდებოდნენ რადიოტელემეტრიისა და ტელევიზიის თანამედროვე მეთოდების საშუალებით, ამასთან აღინიშნებოდა ბიოელექტრული და მექანიკური მოქმედება, სუნთქვის სიხშირე და სიღრმე, ტემპერატურა. შრომისუნარიანობის მდგომარეობის შესახებ მსჯელობდნენ დედამიწასთან რადიოგაცვლის ხარისხის, ფრენის დაგალების ზუსტად შესრულებისა და ტელევიზიური გამოსახულების დაკვირვების ხარისხით.

ანალიზის წინასწარი მონაცემები მოწმობენ, რომ ძირითადად ადამიანის ორგანიზმის არც ერთ ფიზიოლოგიურ ფუნქციას ფრენაში არ განუცდია პათოლოგიური გადახრა. კოსმონავტ ტიტოვის პულსი ფრენაში მერყეობდა წუთში 80—100 ფარგლებში, რაც არ გასცილებია გაფრენის წინა საწყისი დონის ფარგლებს. სუნთქვის სიხშირე წუთში 18—22-ს შეადგენდა, ძილის პერიოდში ამბანაგ ტიტოვის პულსის სიხშირე შემცირდა წუთში 54—56-მდე, რაც შეესაბამებოდა ფონურ მონაცემებს, რომლებიც მიღებული იყო ხანგრძლივი სამმეცნიერო ექსპერიმენტებით გაფრენის ცოტა ხნით ადრე. გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის ელექტროკარდიოგრამის ელემენტების ფორმასა და ინტერვალებს არ განუცდიათ რაიმე არსებითი ცვლილება.

მიუხედავად ფრენისა და ფრენის დაგალების დიდი სირთულისა, მთელ მანძილზე გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის შრომისუნარიანობა შენარჩუნებული იყო საკმაოდ მაღალ დონეზე, როგორც უკვე იცით, იგი წარმატებით მართავდა კოსმოსურ ხომალდს, საჭირო ჩანაწერებს აკეთებდა თავისი დაკვირვების შესახებ ბორტის ჟურნალში და განუწყვეტელი კარგი კავშირი ჰქონდა დედამიწასთან.

კოსმოსურ ფრენაში იგი რაიმე განსაკუთრებული სიძნელის განუცდელად აბორკეულებდა ყველა საჭირო ბუნებრივ ფუნქციას: ჭამდა საჭმელს, ეძინა, აკეთებდა სარგებლობდა ასენიზაციის მოწყობილობით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანე ტიტოვის ხანგრძლივმა ყოფნამ უწონობის პირობებში ერთგვარი ცვლილებანი გამოიწვია კარიბჭის აპარატის მხრივ, რაც დროდადრო ვლინდებოდა უსიამოვნო შეგრძნებით. მაგრამ, როცა კოსმონავტი გერმანე ტიტოვი საწყის დაძაბულ პოზას იღებდა და თავს მკვეთრად არ აქნევდა, ყველა აღნიშნული მოვლენა თითქმის სავსებით ქრებოდა. საესაძლოა ეს იყო ამხ. გ. ს. ტიტოვის ინდივიდუალურ თავისებურებათა შედეგი. ამიტომ საჭირო იქნება უწონობის პირობებში ადამიანის მოკმედების საკითხის შემდგომი შესწავლა.

ძილის შემდეგ ეს ცვლილებანი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო სამუხრუჭო სისტემის ჩართვის შემდეგ სავსებით გაქრა.

კოსმოსური ფრენის შესრულების შემდეგ ამხანაგ გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს არა აქვს დარღვევა ჯანმრთელობის მდგომარეობაში, ყველა ფიზიოლოგიური ფუნქცია საწყისი მონაცემების დონეზეა. შრომისუნარიანობა სავსებით შენარჩუნებული.

ამ ფრენის შედეგად საბჭოთა ენეინერება, განსაკუთრებით კოსმოსური ბიოლოგია და მედიცინა გამდიდრდა დიდძალი ახალი მეცნიერული მონაცემებით, რომლებიც ამჟამად მუშავდება.

ხომალდ „აღმოსავლეთ-2“-ზე მეცნიერული კვლევის პროგრამა მთლიანად შესრულებულია.

დასასრულ მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს ფრენის დაგალების საუცხოოდ შესრულებისათვის.

შემდეგ გამოდის აკადემიკოსი ვ. ა. კოტელნიკოვი.

ვ. ა. კოტელნიკოვის გამოსვლა

კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთ-2“-ის კავშირი დედამიწასთან რადიოტექნიკური საშუალებით ხორციელდებოდა. რადიოკავშირის აპარატურას ძალიან დიდი მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული: მას უნდა უზრუნველეყო ძალიან საიმედო კავშირი კოსმონავტთან პრაქტიკულად ფრენის ყოველ მომენტში, იგი უნდა ყოფილიყო ძალიან მსუბუქი და კომპაქტური და მინიმალური სიმძლავრე უნდა დაეხარჯა თავისი კვებისათვის.

ხომალდიდან დედამიწაზე დიდი მანძილებიდან გადმოცემა ხორციელდებოდა ორი პარალელურად მომუშავე მოკლეტალღიანი ტელეგრაფ-ტელეფონის გადამცემების საშუალებით, რომლებიც მუშაობდა ამპლიტუდიანი მოდულაციით. მათი სიხშირე, როგორც გამოცხადდა, იყო 15765 მეგაჰერცი და 20,006 მეგაჰერცი. ეს გადამცემები მუშაობდა სპეციალური გამყოფი ფილტრების საშუალებით საერთო ანტენაზე.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე ფრენის დროს გადმოცემა ხომალდიდან ხდებოდა მესამე ულტრამოკლეტალღიანი გადამცემი საშუალებით. ულტრამოკლეტალღები უზრუნველყოფენ განსაკუთრებით საიმედო კავშირს, რამდენადაც მათი გავრცელება დამოკიდებული არ არის ატმოსფეროს იონიზებული ფენების მდგომარეობაზე და მათზე ნაკლებ გავლენას ახდენენ დაბრკოლებანი სხვა სიდგერებიდან. მაგრამ ეს ტალღები ცუდად უვლიან დედამიწას და ამიტომ დიდ მანძილებზე კავშირისათვის გამოსადეგი არ იყო. ულტრამოკლეტალღიანი გადამცემის სიხშირე იყო 143,625 მეგაჰერცი. იგი მუშაობდა სიხშირის მოდულაციით ბლუს მინუს 30 კილოჰერცის ზოლში სპეციალურ ანტენაზე. ხომალდის გადამცემთა მიღებას აწარმოებდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული ბევრი მიმღები სადგური. გარდა ამისა, როგორც მიღებული ცნობები გვიჩვენებს, მათ იღებდა აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალი სადგური. გადაცემა დედამიწიდან ხომალდზე წარმოობდა აგრეთვე მოკლეტალღიანი დიაპაზონის ორი ტალღით და ულტრამოკლე ტალღების ერთი ტალღით. რომელიც გამოყენებული იყო სსრ კავშირის ტერიტორიაზე გადათრენისას. დედამიწაზე დისპეტჩერს ხომალდზე გადასაცემად შეეძლო ჩაერთო სსრ კავშირის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული რადიოგადამცემები იმისდა მიხედვით, თუ სად იყო მოცემულ მომენტში ხომალდი.

ხომალდზე ყველა მიმღები შესრულებული იყო ნახევარგამტარიანი ხელსაწყოებით. მათი მგრძნობიარობა მიკროვოლტებში ერთეულებია. რადიოხაზების დაბალი სიხშირის დახასიათებანი განხორციელდა ოპტიმალურად. რათა მიგვიღო ყველაზე გარკვეული მეტყველება ხმაურისა და დაბრკოლებათა პირობებში; ბორტგადამცემებში ამისათვის გამოყენებული იყო შესასვლელი სიგნალის სიმეტრიული ამპლიტუდური შეზღუდვა.

ხომალდის პილოტს შეეძლო გადაცემა ეწარმოებინა როგორც სკიფანურის მუზარადში ჩამონტაჟებული მიკროფონებიდან, ისე კაბინაში განლაგებული მიკროფონების საშუალებით, რომლებთაც იგი სარგებლობდა მუზარადის გახსნის შემდეგ.

ტელეგრაფით გადაცემისათვის, რაც ვათვალისწინებული იყო ცუდი სმენადობის შემთხვევაში, ხომალდში იყო ტელეგრაფის გასაღები. მაგრამ საჭირო აღარ გახდა გასაღებით სარგებლობა რადიოტალღების კარგი გავლადობის გამო. მიღება შეიძლებოდა ყურსაცავებით. ამ შემთხვევაში ერთი ყურე იღებდა ერთი მოკლეტალღიანი მიმღების და ულტრამოკლეტალღიანი ერთეულის ერთ ყურეს. ეს ორი ყურეა ერთ ყურეში ერეოდა. ეს ორი ყურეა ერთ ყურეში ერეოდა. ეს ორი ყურეა ერთ ყურეში ერეოდა

ფიზიკური კულტურა სიჭაბუკის წყაროზე

„პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში, ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალისა და სიდამაზის დღესასწაული

დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — ჭაბუკობის, სილამაზისა და ძლიერების დღესასწაულს.

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე, სარბენ ბილიკებზე, საწყლისნო სადგურებზე, სასპორტო დარბაზებში, ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე გამოვლენ სახელმოხვეჭილი საბჭოთა ფიზკულტურელები, კუნთმაგარი, ბრგე, გამოწრთობილი ახალგაზრდები, რომ უპატაკოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას თავიანთი მზადყოფნა შრომისათვის, დიადი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ფიზიკური კულტურა და სპორტი მიაჩნიათ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავ საშუალებად.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობა უზრუნველყოფილია ხუკეთესო მატერიალური ბაზით. მარტო პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციების განკარგულებაშია 1.500-ზე მეტი სტადიონი, 65 ათასზე მეტი სასპორტო მოედანი, ტანვარჯიშის დარბაზი, საწყლისნო და სათხილამურო სადგური, ტურისტული ბაზა და ალპინისტური ბანაკი.

საბჭოთა ფიზიკური კულტურის ორგანიზაციების მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდობის აღზრდა, სპორტული მიღწევებისა და რეკორდების ზრდა. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ფიზიკური კულტურის ორგანიზაციებმა მოამზადეს 10 ათასამდე სპორტის ოსტატი და 3 მილიონამდე სპორტსმენი-თანრიგოსანი, 5 ათასჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები ჩვენი ქვეყნის რეკორდების ცხრილში. საბჭოთა სპორტსმენებმა მრავალჯერ გაიუჯობესეს მსოფლიო რეკორდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საბჭოთა სპორტის ამ მიღწევებში გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს. საქართველოს სპორტსმენებმა არაერთხელ ასახელეს სამშობლო მსოფლიოს სპორტულ სარბაელებზე.

ჩვენი სპორტსმენები სპორტის ბევრ სახეობაში უცვლელად გამოდიან საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში.

ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს“ დადგენილებით „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის შესახებ“, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს მასობრივობა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში, აამაღლეს სპორტსმენებისა და ცალკეული გუნდების სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლები. ამ გარემოებამ შექმნა პირობა, როცა ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო ძლიერად შედის ადამიანის ყოფაცხოვრებაში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდა 200 ათასი კაცით, ეს რიცხვი ამჟამად 820 ათასს აღწევს. საგრძნობლად მატულობს ფიზკულტურელ ქალთა რიცხვი. შვიდწლიანი ვალდებულებით ფიზკულტურელთა რიცხვმა 900 ათას უნდა მიაღწიოს, ე. ი. რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 22 პროცენტი ჩაბმულ უნდა იქნას ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. უნდა ითქვას, რომ ეს ვალდებულება დღეისათვის წარმატებით სრულდება. ამასთან დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის არ დარჩეს ისეთი ორგანიზაცია, სადაც შექმნილი არ იქნება ფიზკულტურის კოლექტივი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომლებმაც დღეისათვის თითქმის დაამთავრეს ფიზკულტურის კოლექტივების შექმნა მათს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები წლითიწლობით ამზადებენ ათეულ ათასობით მშო ნიშნოსნებსა და სპორტსმენ-თანრიგოსნებს. 1960 წლის განმავლობაში იმშო და მშო ნიშნზე ჩაბარა 105 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ, 55 ათასზე მეტმა გოგონამ და ჭაბუკმა შეასრულა მოზარდთა და მესამე სპორტული თანრიგის نორმატივები, ერთნახევარჯერ გადაჭარბებით იქნა შესრულებული მეორე და პირველი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმები, ხოლო გათვალისწინებული 155 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადებულია 213.

აღნიშნულმა მიღწევებმა შექმნა პირობები იმისათვის, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გაზრდილი ვალდებულებები ეღოთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით მათ იკისრეს შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების დარგში ძირითადი მაჩვენებლები ექვს წელიწადში შესასრულონ. ეს მეტად საპატიო ამოცანაა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი უკვე მეორე წელია ინარჩუნებს საკავშირო გარდამავალ წითელ დროშას, რაც მოპოვებულ იქნა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ამას დაემატა კიდევ ერთი საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც სასპორტო საზოგადოება „განთიადის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს და საპატიო ნაგელი, რაც წლად ხვდათ საზოგადოება „კოლმეურნის“ კოლექტივებს.

ამ საერთო მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის, აგრეთვე ზუგდიდის, მახარაძის, ჩოხატაურის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ტყიბულისა და გეგეჭკორის რაიონების ორგანიზაციებმა, რომელთა 18 ფიზკულტურული კოლექტივი 1960 წლის მაჩვენებლებით დჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა რესპუბლიკის მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

თუ 1958 წელს მხოლოდ ერთეულ ორგანიზაციებში იყო დანერგილი საწარმოო ტანვარჯიში, ამჟამად იგი 1.500-ზე მეტ საწარმო-დაწესებულებაში, სახბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში შრომის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამასთან 1958 წელთან შედარებით სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილე მშრომელთა რიცხვი, რამაც 100 ათას კაცს გადააჭარბა, ხოლო ნადირობისა და თევზჭერის მოყვარულთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია. ამავე დროს საჭიროა რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სპორტულ ბაზებზე სისტემატურად მიმდინარეობდეს სპორტული მეცადინეობა უფროსი და საშუალო ასაკის მოსახლეობაში. ამჟამად ასეთ მუშაობას ეწევიან თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და ცალკეული რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და მათი ადგილებზე სწორად გამოყენების საქმეს. მარტო 1960 წელს, სხვადასხვა სემინარებსა და კურსებზე მომზადებულ იქნა 20 ათასამდე საზოგადოებრივი ფიზკულტურული ინსტრუქტორი და მსაჯი, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ისინი მოწოდებული არიან აღზრდონ სპორტსმენთა ახალ-ახალი კადრები, ხელი შეუწყონ ადგილებზე ფიზკულტურულ-მასობრივ და სასწავლო-სპორტულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებას.

1963 წლისათვის გათვალისწინებულია სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა. თვითეული რესპუბლიკა მოსკოვში უნდა წარსდგეს 900-სპორტსმენიანი დელეგაციით, რომელიც დაკომპლექტებული უნდა იყოს მხოლოდ სპორტის ოსტატებით და პირველთანრიგოსანი სპორტსმენებით, ამოცანა ის არის, რომ უახლოეს ხანში ფიზიკური კულტურასა და სპორტში ფართო მასების ჩაბმის საფუძველზე უზრუნველყოთ ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინება და მათი დოსტატება.

1963 წელს თბილისში მოეწყობა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების 5 ათასზე მეტი სპორტსმენი. ეს ასპარეზობა გამოავლინებს ჩვენი რესპუბლიკის მზადყოფნას ხალხთა მესამე სპარტაკიადისათვის.

ამ დიდი ამოცანების გადაჭრაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, საშუალო სკოლების, ტექნიკუმების, და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება დაყენებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თვითეულ ფიზკულტურულ რგოლში, კოლექტივში, უნდა ვიმსჯელოთ რესპუბლიკის კოლექტივის წარმატებაზე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

დღეს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება პროფკავშირთა VII სპარტაკიადა, ხოლო ბაკოში რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სპორტსმენები ამ დიდ კომპლექსურ ღონისძიებებში სასახელოდ გამოვლენ.

რესპუბლიკის სპორტული კალენდარი 1961 წლის მეორე ნახევარში და 1962 წლისათვის ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, როგორიც არის საქალაქთაშორისო მატჩები მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და სხვა ძლიერ კოლექტივებთან. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სპორტსმენების დოსტატებას.

ეჭვსგარეშეა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, პირველ რიგში ფიზკულტურელები და სპორტსმენები, ფიზკულტურული მუშაკები, მწვრთნელთა კადრები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამამრავ მზრუნველობას უპასუხებენ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ახალი აღმავლობით, სპორტსმენთა შემდგომი დოსტატებით, საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესებით.

თ. მანაბაძე,

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოთა სპორტი მსოფლიოში ყველაზე მასობრივი, პროგრესული და ხალხური სპორტია. სწორედ საბჭოთა სპორტის მასობრიობამ და ხალხურობამ განაპირობა მისი, ეჭვშარეშად ტრიუმფალური წარმატება. ახლა ევროპისა და მსოფლიო რეკორდების ცხრილებში, აგრეთვე ჩემპიონთა რიგებში სულ უფრო მეტად ვხვდებით ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს.

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში, მის საერთო მიღწევებში განუხრელად იზრდება საქართველოს სპორტსმენთა ხვედრითი წონა, წარმატებები, სპორტული მაჩვენებლები. ბევრი მათგანის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

საქართველოს სპორტსმენებს ორაერთი წარმატება მოუპოვებიათ ოლიმპიურ ასპარეზობებზე, მსოფლიო ჩემპიონატებში. ზოგიერთ მათგანს ბევრს უმშვენებს ოქროს მედლები. მაგრამ ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ მიმდინარე წლის შედეგებზე, ახალ ჩემპიონებზე.

სურათებზე: (მარჯვნივ ზევიდან) თბილისის სპორტის სასახლე, მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ა. ქორძაია და მსოფლიოს ჩემპიონი ფარიკაობაში ვ. რუბაშვილი, (მარცხნივ) სსრ კავშირის ჩემპიონები ფარიკაობაში გ. ყოსტავა და ნ. ასათიანი, „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში ნ. სალაძე.

ამ მხრივ მიმდინარე სეზონი როდი ჩამოუვარდება გასულ წლებს. არც თუ ისე შორეულს ეკუთვნის იოკოჰამას ბრძოლები საკიდო ხალიჩებზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. როდესაც ამ გრანდიოზულ ასპარეზობაზე ვლაპარაკობთ, როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ საქართველოს მოჭიდაველებს — ვ. რუბაშვილსა და ა. ქორძაიას, ისინი ხომ ამ ჩემპიონატის გვირგვინი, მაყურებელთა საყვარელი სპორტსმენები იყვნენ. ქართველ ფალავანთა შეტაკებამ მოხიბლა იაპონია.

ამიტომ იყო, რომ მათ სულით და გულით ულოცავდნენ გამარჯვებას, მსოფლიოს ჩემპიონობას.

თუ საკავშირო ჩემპიონატებზე შევჩერდებით, არ შეიძლება დავიიწყოთ ჩვენი მოფარიკაველები ნ. ასათიანი და გ. ყოსტავა. ისინი მომდინარე წლის სპორტული სეზონის გმირები არიან. მათ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ორი ოქროს მედალი ჩამოიტანეს.

სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ მუსიკის ჰანგებზე მონარნარე გოგონას ტაშს უკრავდნენ დარბაზში. ეს იყო მხატვრულ ტანვარჯიშში გამარჯვებული თბილისელი ნ. სალაძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ერთი ჯგუფი საქართველოს სპორტსმენებისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს ახალ სეზონში, საერთოდ კი მათი რიცხვი დიდია.

იმრავლოს ჩვენი სპორტსმენების წარმატებებმა!

ერთი ქარხნის სპორტსმენები

საათის ისრები ოთხს უახლოვდება. საამქროს ახალგაზრდა მუშებს ზეინკალ ს. ზაქარეიშვილს და მღარავ ბ, ღლონტს წესრიგში მოჰყავთ თავიანთი-სამუშაო ადგილი, ცდილობენ სუფთად ჩაიბარონ ცვლა. მათ ქარხნის ფეხბურთის საწვრთნელი მოედნისაკენ მიეჩქარებათ, იქ შემოეერთდებიან კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი, პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი ელექტრომემონტაჟე ჯ. თანანაშვილი, ქარხნის კონსტრუქტორი კ. მაისურაძე და სხვები, და დაიწყებენ წვრთნას ფეხბურთში... ახალგაზრდები წვრთნას გადიან კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზეც... ყველგან სიცოცხლეა. ეი საუცხოო 25-მეტრიანი საცურაო აუზი ათმეტრიანი კოშკით, 50-მეტრიანი ტირი და სხვა სპორტული ბაზები, რომელიც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის ახალგაზრდობამ მოაწყო.

ფიზკულტურულ კოლექტივს თავისი სასპორტო კლუბი აქვს, მას „ვამარჯვება“ ეწოდება. იგი ერთ-ერთი პირველია სსრ კავშირში.

კლუბთან მუშაობს 16 სექცია—ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, ხელბურთის, ცურვის, ველოსპორტის, ჭიდაობის, შაშის, ჭადრაკის და სხვა სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები ზეინკლები ვ. ჯანდიერი და ა. მიაგკოვი, ოსტატი შ. კობაძიძე, ტექნოლოგი ე. არჩვაძე, საამქროს უფროსები კ. პროზოროვი, ტ. სპიცინი და სხვები, ხოლო საერთო მუშაობას წარმართავს სასპორტო კლუბის გამგეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ქარხნის დირექტორის მოადგილე რ. ძღუნტი. გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი მწვრთნელების, მსაჯებისა და მეთოდისტების მომზადებას, ახალგაზრდობის მოზიდვას, სპორტის მასობრიობას. ახლა 1.200 კაცი ითვლება კლუბის წევრად, მათ რიცხვში 50-60 წლის ასაკის მუშებიც არიან. ახალგაზრდებმა შეიყვარეს სპორტის შედარებით ახალი სახე — ხელბურთი. მის დანერგვაში დიდი წვლილი მიუძღვის ვ. არაქელოვს. ფრენბურთის შესანიშნავად თამაშობენ ძმები — ხარატი ვ. პერცევი და მრავალგანი ი. პერცევი, ელექტრომემონტაჟე ვ. იგნატოვი, ელექტროზეინკალი გ. ცვეტკოვი, კონტროლიორი ლ. პოტაპოვი, ზეინკალი რ. არზუმანოვი; კალათბურთი ატაცებს ზეინკალ თ. ანდრიაძეს, მეთოდისტ ე. მანკოვსკაიას, კონსტრუქტორს ფ. გეგეჭკორს, ტექნიკოს ფ. ბოკოიანს და სხვებს.

მასობრიობისა და სპორტული მაჩვენებლების ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვს მეშვიდე სარემონტო-მექანიკური საამქროს ფიზკულტურულ საბჭოს, რომელსაც სათავეში უდგას პირველთანრიგოსანი ზეინკალი მემონტაჟე თ. გასტანგელი. აქ რეგულარულად ეწყობა შეჯიბრება ბრიგადებს შორის.

ქარხნის სპორტსმენთა უმრავლესობა წარმოების მოწინავენი არიან. ბუხუთუ სიაიარლო საამქროს ბრიგადა, რომელსაც რ. ტაბიძე ხელმძღვანელობს, მოლიანად სპორტსმენებისაგან შედგება. თავი გამოიჩინეს სპორტსმენებმა— წარმოების მუშაკებმა თ. ანდრიაძემ, ე. კალანდაძემ, ზეინკლებმა ვ. ნიბარიდოვმა, მ. ნიბარიოვმა, თ. გასიტაშვილმა, რ. დანილოვამ, ელექტრომემონტაჟე ვ. იაგეტოვამ და სხვებმა.

ერსანიშნავად მუშაობს ძალოსნობის მწვრთნელი შ. წერეთელი. მან მოამზადა ქარხნის შტანგისტთა საუკეთესო გუნდი ზეინკლების გ. კასრელიშვილის, ვ. როდიმაშვილის, ტ. წოწოლაშვილის, ი. ინწკვაის და კ. ბაზაძის შემადგენლობით. ახლა ისინი მოსკოვში არიან, საღაც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში. მწვრთნელს ტყვიის სროლაში, სპორტის ოსტატ კ. პროზოროვს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, როგორც საუკეთესო მსროლელს. მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობს პირველი კატეგორიის მსაჯი, ელექტროსაამქროს მუშა ვ. ჯანდიერი. სპორტსმენების მიერ მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ე. ბასანოვას, რომელსაც უყვარს ეს საქმე და დიდ ენერგიას იჩენს ახალგაზრდობის დარაზმვაში.

ქარხნის ყოფაში დამკვიდრდა საწარმო ფიზკულტურა. საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მეშვეობით. მას საქმიანად წარმართავს უფროსი მეთოდისტი ა. ხუციშვილი.

ქარხანასთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახეობის ბავშვთა სპორტული ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები და რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეები.

წელს ქარხნის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, სადაც საერთო მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ცალკეულ სახეობებში — ფრენბურთში, ძალოსნობასა და ცურვაში—პირველი ადგილები. ქარხნის ახალგაზრდობის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ფართო პერსპექტივები აქვს.

მისასალმელია ჩარხშენებლების სპორტული კოლექტივი!

ე. მამალაძე.

პროგრამა შთაგვაგონებს

დიდებულ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა, მისი ხალხი. კომუნიზმი — ყველაზე პროგრესული, ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება — სანუკვარი ოცნებიდან უკვე ჩვენი დღეგანდელი ცხოვრების პრაქტიკული საქმე ხდება.

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! ეს დიდებული სიტყვები, როგორც დევიზი, თავიდან ბოლომდე თან გასდევს სკკპ პროგრამის პროექტს. ხარობს ყოველი საბჭოთა ადამიანი, პროგრამის პროექტში თვითონვე პოულობს საკუთარ კონკრეტულ ამოცანას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საბჭოთა სპორტსმენების მრავალათასიანი არმია, რომელსაც არაერთხელ უსახელებია სამშობლო, სკკპ პროგრამის პროექტში პოულობს ძალას ახალი გამარჯვებებისათვის.

სკკპ პროგრამის პროექტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდება ადამიანის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს საბჭოთა ფიზკულტურელებს; ფიზკულტურა და სპორტი უნდა გახდეს არა ერთეულების, არამედ მასების კუთვნილება.

კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა ფართო ჰორიზონტს სახავს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ სკკპ პროგრამის პროექტიდან გამომდინარე ღონისძიებების შემუშავებას ახალი სასწავლო წლისათვის, რათა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ფიზკულტურასა და სპორტს მივცეთ ახალი მძლავრი გაქანება.

ნ. მეიფარიანი,

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ასე იჭედება სპორული სახელი

ჩვენი რესპუბლიკის მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სოფლის სპორტსმენებმა.

ფიზკულტურის კოლექტივები შექმნილია საქართველოს ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამეცნიერო სპეციალურ სასწავლებელში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო-დაწესებულებებში. სულ სახოგადოება „კოლმეურნე“ ფიზკულტურის 2.200 კოლექტივს აერთიანებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოება „კოლმეურნის“ წევრთა და ფიზკულტურელთა რიცხვი. დღეისათვის იგი 200.000-ს აღწევს.

ფიზკულტურული კოლექტივებისა და ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდასთან ერთად უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა სოფლის სპორტსმენთა მაჩვენებლების დონე. მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა საერთო მაჩვენებლების კარგ ზრდას მიაღწიეს. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურელთა რაოდენობა გაიზარდა ორჯერ, რაც სოფლად მომუშავეთა საერთო რიცხვის 40 პროცენტს შეადგენს. შესამჩნევად იზრდება ფიზკულტურელთა რიცხვი აფხაზეთისა და აჭარის ორგანიზაციებში, მახარაძის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის და სხვა რაიონების სოფლის ორგანიზაციებში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად სპორტულ ნაგებობათა ქსელი. ამენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საკიდაო დარბაზები ქასპში, ზესტაფონში, გელაანში, საგარეჯოში. მთავრდება დარბაზების მშენებლობა ონში, ლანჩხუთში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში აშენებულია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ საქართველოს ფიზკულტურის საკვლევ ინსტიტუტთან ერთად გაკეთებული მუშაობა გასწია ჩაის მკრეფავი ქალებისათვის სპეციალური ვარჯიშის შესაქმნელად. ხორციელდება გაშლილი ღონისძიებანი ჩაის საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისათვის,

„კოლმეურნის“ გუნდები და ცალკეული სპორტსმენები წარმატებით გამოდიან საკავშირო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში.

ჩვენი საზოგადოების მოთხილამურეებმა წელს მეოთხე მოიპოვეს გაზეთ „ლელოს“ თასი და მესამე ადგილი დაიკავეს საკავშირო შეჯიბრებაში სამოთსათხილამურო სახეობებში. ამ შეჯიბრებაზე ბაკურიანელმა სპორტსმენებმა ლიანა გოგოლაძემ და პაკლე გავამ სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულეს, ხოლო ლ. გოგოლაძე ვერტლის მედლის მფლობელი გახდა. ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურედ ითვლება და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრია.

ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის ჯინჭარაძის სახელობის კოლმეურნეობის მოცურავეთა გუნდმა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, გასული წლის რესპუბლიკურ და მიდგომიერე წლის ამერკავკასიის რესპუბლიკების „მეგობრობის თასზე“ გამართულ მრავალდღიან ველოსპორტულ ბრძოლებში ჩვენმა ველოსპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ამერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში სოფლის ნაკრები კოლექტივი პირველ ადგილზე გამოვიდა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. ნაკრებ გუნდში შემავალი 85 მონაწილიდან 49-მ სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სოფლის სპორტსმენთა შორის 1960-61 წლების საკავშირო ჩემპიონები და ოქროს მედლების მფლობელები არიან: ჭადრაკში — ო. ბათირაშვილი (მახარაძის რაიონი), ცურვაში — ე. ვოიტკევიჩი (ბათუმის რაიონი), ძალოსნობაში — ა. გრიგორიანი (სამგორის რაიონი), ჭიდაობაში — ა. მახარაძე (ბათუმის რაიონი), თხილამურებში — ლ. გოგოლაძე (ბორჯომის რაიონი), ცხენოსნობაში — ი. ტანია (გუდაუთის რაიონი) და სხვ.

გარდა ამისა, საკავშირო შეჯიბრებაზე წარმატებით გამოდიან საზოგადოება „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდები ჭიდაობა „სამბოში“, თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში და სხვ.

მიმდინარე სეზონში დიდ წარმატებას მიაღწიეს ახალგაზრდა მძლეოსნებმა გ. გუდაშვილმა და კ. გორძიშვილმა, რომლებმაც შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივები და გაიუმჯობესეს რესპუბლიკის რეკორდები.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ნაკლოვანი მხარეებიც აქვთ. ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა ქალთა შორის, ისინი ნაკლებად არიან ჩაბმული ფიზკულტურულ და სპორტულ მეცადინეობაში, აქტიური მონაწილეობას არ იღებენ ფიზკულტურული კოლექტივების ყოველდღიურ საქმიანობაში.

სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის ისეთ სახეობათა განვითარებას, როგორიც არის ტანვარჯიში, კალათბურთი, ცურვა და სხვ.

რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ნაკლებად ვხვდებით სოფლის სპორტსმენებს, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიკავონ რესპუბლიკის ღირსება საკავშირო ასპარეზზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა იკისრეს გაზრდილი ვალდებულებანი მშო ნიშნოსნების, სპორტსმენ თანრიგოსნების და საზოგადოებრივი ფიზკულტურელი კადრების მომზადების 1961 წლის გეგმის შესრულებაში. ეს ვალდებულებანი წარმატებით ხორციელდება და ყრილობის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

გრძნობენ რა უდიდეს პასუხისმგებლობას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, საქართველოს სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციები იბრძვიან ამისათვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი კიდევ უფრო დამკვიდრდეს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვ. ჟღენტი,

საქართველოს სასოფლო-სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

საინტერესოა ვიცოდეთ

☐ **მიმდინარე** წლის სპორტული კალენდარით სსრ კავშირის ნაკრები გუნდები და სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და მსოფლიოს 45 ჩემპიონატში.

☐ **ბაკურ** სასპორტო სეზონის ზამთრის VIII და ზაფხულის XVII ოლიმპიურ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს. მათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში 124 მედალი მოიპოვეს, აქედან 50 ოქროს მედალი.

☐ **სსრ** კავშირის სპორტსმენებმა უკანასკნელ წლებში 900-ჯერ შეიტანეს შესწორება მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

☐ **უკანასკნელ** წლებში საბჭოთა სპორტსმენები გამოდიოდნენ ევროპისა და მსოფლიოს 200-მდე პირველობაში. 1960 წელს ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობით გაიმართა 400-მდე საერთაშორისო შეჯიბრება.

დღეს ლუჟნიკოში

საათის ისრები ექვსს ითვლიდ

მშვიდობა! ეპოქის მოთხოვნაა

„ცივი ომის“ შტაბი

—შაშისტური პროპაგანდის კერა

ევროპის ხალხთა მშვიდობისათვის

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა სიტყვა წარმოთქვა ბერლინის კედლის ქარხნის „ობერშპრეეს“ მშრომელთა წინაშე. მან აღნიშნა, რომ საჭიროა დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და გადაიჭრას დასავლეთ ბერლინის პრობლემა. ახლა ლონდონი, განაცხადა ვალტერ ულბრიხტმა, ნიშნავს დავუშვათ იმის შესაძლებლობა, რომ გერმანელი ხალხი ჩაბმულ იქმნა, რომლის გაჩაღებასაც ცდილობენ იმპერიალისტები და მილიტარისტები. გერმანიის ძუძუთა კლასისა და ყველა მშრომელის, ყველა მშვიდობასმოყვარე გერმანელის ამოცანაა, ხელი შეუშალოს დასავლეთგერმანელ ოფლის გაჭიაღებლებს.

ტაშის გრიალში ვალტერ ულბრიხტმა განაცხადა: თუ დასავლეთგერმანელი მილიტარისტები ომით იმუქრებიან, ჩვენ გადაჭრით და მტკიცედ ვაბობთ: დიდი ხანია დროა დადოს საზავო ხელშეკრულება, დიდი ხანია დროა დამაწყარებელი პერანგი ჩაკაცვათ ამ ბატონებს.

ბუნდესვერი უელსში

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). ინგლისისა და ბონის ძმათაფელი ყრილობა, რომელებიც უგულებელყოფენ ძასობრივ საპროტესტო ძოძრაობას დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერისათვის უელსის საფერთონელი ბაზების მიცემის ნიბაალმდეგ, კვლავ განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს, რომ ინგლისელ ხალხს თავს მოაბვინონ დაეპატიჟებელი „სტუმრები“.

გუშინ უელსში ჩავიდა დასავლეთგერმანელ ოფიცერთა ჯგუფი 84-ე ჯავშანსატანკო ბატალიონის ძეთაურის პოდპოლკოვნიკ ფონ კლაისტის მეთაურობით, რათა უკანასკნელი ინსპექცია გაუწიონ კასლმარტინის (პემბრიკშირი) ტახკოდრომს ბუნდესვერის ჯარისკაცების აქ ბაძმასელის წინ.

84-ე ჯავშანსატანკო ბატალიონის პირველი ქვეგანაყოფი 50 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით დასავლეთ გერმანიიდან გაემგზავრება 25 აგვისტს, მას მიჰყვებიან დანარჩენებიც.

სამი კვირის განმავლობაში 9-დან 30 სექტემბრამდე პემბრუკშირის გზებზე და მიხდვრებში გამოჩნდება 84-ე ბატალიონის ტანკების თვალბედითი შავი ჯვრები. გერმანიის მილიტარიზმის ნალიანი ჩექმა გაიკლის უელსის ქალაქების შეჯდომიან ქუჩებში.

ფონ კლაისტმა, რომელიც ინგლისში იყო ტყვედ ომის შემდეგ, ახლა როგორც ბატრონმა განაცხადა ჩამოსკლისას „თქვენი ჯარისკაცები 16 წლის მანძილზე იყვნენ გერმანიაში.... ახლა ჩვენები ჩამოვლენ აქ, რათა გაიცნონ თქვენი ხალხი“.

„საფრონგო ქალაქის“ სამხედრო ხარჯი

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ ბერლინი აქტიურ მონაწილეობას იღებს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის შეიარაღებაში. ბერლინის დემოკრატიული გაზეთი „ბერლინერ �ეიტუნგი“, რომელიც იმოწმებს დასავლეთ ბერლინის სტატისტიკური უწყების მონაცემებს, იუწყება, რომ, მაგალითად მიმდინარე წლის მარტიდან მაისამდე დასავლეთ ბერლინის ბარჯი, რომელიც დაკავშირებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საომარ მზადებასთან, შეადგენდა 500 მილიონ მარკაზე მეტს.

„ცივი ომის“ გაერთიანებული შტაბი

ბონი, 10 აგვისტო. (საკდესი). ბონში დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდნენ დასავლეთის სამი სახელმწიფოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის თათბირის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას ერთგვარი ერთობრივი ცენტრი „ცივი ომის“ და ანტიკომუნისტური ისტერიის შემდგომი გაღვივებისათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან ახლოდგომი გაზეთი „გენერალანციგერი“, რომელმაც ამ ცენტრს უწოდა „ცივი კონტრშეტევის საკითხთა გენერალური შტაბი“, სიამაყით აცხადებს, რომ ამ იდეის ინიციატორია დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი.

არავითარი ეჭვი არ არის, თუმცა პრესა ამას პირდაპირ არც კი წერს, რომ „ცივი ომის“ ამ შტაბის სასწრაფოდ შექმნა გამოიწვია სკკპ პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ, რომლის უდიდეს მიმზიდველ ძალასაც მთელი მსოფლიო აღიარებს, ბონმა და დასავლეთის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გაერთიანონ თავიანთი ლონისძიებანი, რათა შეასუსტონ უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც ამ ისტორიულმა დოკუმენტმა მოახდინა ყველა ხალხზე, სწორედ ეს აქვს მხედველობაში გაზეთ „რაინიშე პოსტს“, როცა იგი ხაზს უსვამს, რომ პარიზში „დეტალურად განხილულს კომუნისტური პროპაგანდისაგან ფსიქოლოგიური თავდაცვისა და დასავლეთის საკუთარი ახსნა-განმარტებითი მუშაობის საკითხები“.

როგორც აღნიშნულია პრესაში, პროპაგანდისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული დირექტივები ჩამოყალიბებულია სპეციალურ „საიდუმლო დოკუმენტში“. მიუხედავად ამისა, პრესაში დაიბეჭდა ზოგიერთი ცნობა დასავლეთის სახელმწიფოთა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროპაგანდისტული საქმიანობის გაძლიერების ხასიათისა და ფორმების შესახებ. უწინარეს ყოვლისა გადაწყდა მკვეთრად გაძლიერონ და შეათანხმონ ერთობლივი პროპაგანდისტული საქმიანობა საზღვარგარეთ და ამასთან დაკავშირებით განახორციელონ „ამოცანების განაწილება“. ამასთან დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ უცხოეთის მისიებს და „საინფორმაციო წარმომადგენლობებს“ საზღვარგარეთ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს კიდევ უფრო გაძლიეროს თავისი პროპაგანდისტული საქმიანობა საზღვარგარეთ.

„ცივი ომის“ გაერთიანებული შტაბი

ბონი, 10 აგვისტო. (საკდესი). ბონში დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდნენ დასავლეთის სამი სახელმწიფოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის თათბირის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას ერთგვარი ერთობრივი ცენტრი „ცივი ომის“ და ანტიკომუნისტური ისტერიის შემდგომი გაღვივებისათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან ახლოდგომი გაზეთი „გენერალანციგერი“, რომელმაც ამ ცენტრს უწოდა „ცივი კონტრშეტევის საკითხთა გენერალური შტაბი“, სიამაყით აცხადებს, რომ ამ იდეის ინიციატორია დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი.

„საფრონგო ქალაქის“ სამხედრო ხარჯი

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ ბერლინი აქტიურ მონაწილეობას იღებს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის შეიარაღებაში. ბერლინის დემოკრატიული გაზეთი „ბერლინერ ciაიტუნგი“, რომელიც იმოწმებს დასავლეთ ბერლინის სტატისტიკური უწყების მონაცემებს, იუწყება, რომ, მაგალითად მიმდინარე წლის მარტიდან მაისამდე დასავლეთ ბერლინის ბარჯი, რომელიც დაკავშირებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საომარ მზადებასთან, შეადგენდა 500 მილიონ მარკაზე მეტს.

სპეციალური სესიის მოწვევა

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 21 აგვისტს მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია საფრანგეთის აგრესიის გამო ტუნისის საჰივრის განსახილველად.

უბრალო ადამიანებს დასავლეთში შეგნებული აქვთ ის საფრთხე, რომელიც მათ ემუქრება. ინგლისში გრძელდება კამპანია ბრიტანეთის კუნძულებზე ამერიკის რაკეტული იარაღის განლაგების წინააღმდეგ. ინგლისელი ხალხი მრავალ მიტინგსა და დემონსტრაციაზე მტკიცედ მოითხოვს: არ დაუშვათ ინგლისის გადაქცევა ამერიკის ავიამზიდად.

სურათზე: ინგლისელი ქალი ხელს აწერს პეტიციაზე, მოითხოვენით — „მოგვამორეთ პოლარისებისა!“.

ПРЕЗИДЕНТ КЕНЕДИС ПРЕС-КОНФЕРЕНЦИА

ვაშინგტონი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეგახდელ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტ კენედის მისცეს შეკითხვა: მიგაჩნიათ თუ არა მას შემდეგ რაც გაეცანით ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას (რადიოთი და ტელევიზიით 7 აგვისტოს. **რედ.**), რომ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა გადიდდა, შემცირდა ან წინანდელივე დარჩაო. უპასუხა რა ამ კითხვაზე, კენედიმ თქვა: ნ. ს. ხრუშჩოვმა გაიმეორა პოზიცია, რომელიც მან დაიკავა ვენაში და რომელიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა სამახსოვრო ბარათში (რაც ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის მხარეს გადასცა ვენაში).

პრეზიდენტმა თქვა, ამ სიტყვაში „ახალი წინადადებები არ ყოფილაო“, ამით გადაკვრით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ელიან, რომ საბჭოთა კავშირი უარს იტყვის თავის პოზიციებზე გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხში. ამავე დროს თვითონ პრეზიდენტს არ შეუტანია რაიმე წინადადება, რომელსაც შეუძლია გააადვილოს ამ საკითხის გადაჭრა. იგი დასჯერდა იმას, რომ გაიმეორა ძველი განცხადებანი, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა არსებული საშუალებანი, რათა გაირკვეს, შეიძლება თუ არა მშვიდობიანი გადაწყვეტის მიღწევა.

პრეზიდენტს სთხოვეს გამოეთქვა აზრი ნ. ს. ხრუშჩოვის 7 აგვისტოს გამოსვლის იმ ნაწილის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ..., „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების დადებით დასავლეთის სახელმწიფოთა არავითარი კანონიერი ინტერესის შელახვას არ ვაპირებთ, დასავლეთ ბერლინში შესვლის რაიმე აკრძალვაზე, დასავლეთ ბერლინის რაიმე ბლოკადაზე ლაპარაკიც არ შეიძლება“. პრეზიდენტმა თქვა, რომ „სიტყვა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. მე ვფიქრობ, ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მოლაპარაკება უნდა გავმართოთ აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობასთან, რათა მივაღწიოთ წამოყენებულ შედეგს. არის ბევრი წინადადება აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის უფლებათა შესახებ, რომლებიც ეხება შესვლის კონტროლს, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის ტერიტორიის კონტროლს და ამიტომ სიტყვა მთლიანად უნდა წავიკითხოთ. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენთვის მისაწვდომი ყველა საშუალება, რათა გავარკვიოთ შეიძლება თუ არა მიღწეულ იქნეს მშვიდობიანი გადაწყვეტა, რომელიც დაიცავს დასავლეთ ბერლინის ხალხის უფლებებს და ჩვენს საკუთარ უფლებებს.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან დაავალა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს დინს მოლაპარაკებაზე ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხის შესახებ დაბრუნდეს ჟენევაში, რათა კვლავ შეხვდეს საბჭოთა წარმომადგენლებს.

კენედიმ დაადასტურა შეერთებული შტატების მთავრობის ძველი პოზიცია, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საბჭოთა წინადადება სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიტიური საკონტროლო ორგანოს მიმართ, აგრეთვე, როგორც მან თქვა, „ცალმხრივი ვეტო ინსპექციის ყოველი სისტემის მიმართ „მიუღებელია და გამორიცხავს შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

ჩვენ, განაცხადა კენედიმ, შევძლებთ მალე გამოვარკვიოთ შეიცავა თუ არა საბჭოთა კავშირმა პოზიცია ამ საკითხებში. თუ საბჭოთა კავშირს არ შეუცვლია პოზიცია, ულტიმატურად განაცხადა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დინი დაბრუნდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდეგ მივიღებ საჭირო გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტს ჰკითხეს, მიგაჩნიათ თუ არა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიან ლონისძიებებს შედეგი არ მოჰყვა და ბერლინის გამო სამხედრო მოქმედება დაიწყო, ეს სამხედრო მოქმედება ჩვეულებრივი ტიპის იქნება, თუ ატომური იარაღის გამოყენებას გამოიწვევსო.

„იმედი მაქვს, — თქვა კენედიმ, — ჩვენ მივაღწევთ ამ პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტას“.

კენედი შეეხო საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წარმატებებს კოსმოსის ათვისებაში და თქვა: „ისინი (საბჭოთა კავშირი) წინანდებურად, როგორც ადრეე მითქვამს, მრავალი თვით წინ არიან ჩვენზე. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მოველოდეთ ამ დარგში მაინი უპირატესობის შემდგომ დადასტურებას. ჩვენ დიდ ლონისძიებებს ვახორციელებთ, რომლებიც მილიონობით დოლარი დაჯდება“.

პრეზიდენტმა უპასუხა კითხვაზე უმაღლესი დონის ახალი თათბირის ან თათბირების შესაძლებლობის შესახებ დასავლეთ ბერლინის საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა: წინანდებურადვე მიმაჩნია, რომ უმაღლესი დონის თათბირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სარგებლობას არ მოიტანს, თუ წინასწარ არ მომზადდა ნიადაგი, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი შეხვედრის ერთგვარ წარმატებას.

კენედიმ თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრა მათი პოლიტიკის საკოორდინაციოდ ყოველი საკითხის, მათ შორის დასავლეთ ბერლინის საკითხის შესახებ, თუ ეს შეხვედრა საჭირო გახდა, უნდა მოეწყოს, და იგი მზად არის მიიღოს მასში მონაწილეობა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

გამალებული ფეიერალეგის გზით

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა დაამტკიცეს გუშინ თავდაცვის სამინისტროს ყველაზე დიდი ბიუჯეტი მშვიდობიან დროს 46.662.556 ათასი დოლარის ოდენობით 1961-1962 საფინანსო წლისათვის, რომელიც 1 ივლისს დაიწყო.

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის პროექტი ხელმოსაწერად ეგზავნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

პენტაგონი ძალებს ზრდის

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუწყის საagენტო იუწყება, თავდაცვის სამინისტრომ დღეს გამოაცხადა, რომ სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში გაიწვევენ 25 ათას კაცს სახედრო პოტენციალის გაძლიერების პროგრამის შესაბამისად, რომელიც პრეზიდენტმა კენედიმ წამოაყენა.

საინფორმაციო საagენტოები აღნიშნავენ, რომ ეს გაწვეულთა ყველაზე დიდი თვიური ციფრია კორეის ომის შემდეგ.

ГАЗЕТА ЛЕНИНСКОГО ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КОМПАРТИИ ГРУЗИИ

ЛАСТИК ПАСУХИСГЕГАШИ—САХЕЛМწიფო ᲥᲝᲜᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲘᲗᲘ

საᲓ არის ფხიზელი თვალი

საბჭოთა ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმისაკენ. ჩვენი ქვეყნის მშვენიერი მომავალი, ჩვენი ნათელი ხვალინდელი დღე განსაკუთრებით ხელშესახებად წარმოსდგა მთელი მსოფლიოს წინაშე სწორედ ახლა, როცა გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი. ეს პროგრამა ხალხისთვის არის, გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის. და სადაც უნდა მუშაობდეს საბჭოთა ადამიანი, რა უბანზეც უნდა შრომობდეს, მთელი მისი ფიქრები მიმართულია ერთი მიზნისაკენ: ისე გააკეთოს, რომ თავისი თავდადებული მუშაობით მოაახლოოს სიუხვის შექმნა ჩვენს ქვეყანაში, საქმით უპასუხოს პარტიის ზრუნვას.

მაგრამ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც გულგრილად უყურებენ სამშობლოს მშვენიერ მომავალს, მათ არ იზიდავს პატიოსანი შემოქმედებითი შრომა, მათთვის უცხოა კოლექტივის ინტერესები. ისინი ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამით ხელმძღვანელობენ — რაც შეიძლება მეტი წაპგლიჯონ საზოგადოებას. ეს უბადრუკი მისწრაფება ხშირად პირდაპირი დანაშაულის გზაზე აყენებს მათ. ისინი ძალიან ცოტანი არიან ჩვენს საზოგადოებაში, ასეთი ადამიანები სულ რაღაც ერთეულები არიან. მაგრამ ისინი მაინც არიან, და მათ წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლას უნდა ვაწარმოებდეთ.

ამ დღეებში მარნეულის რაიონის აღგეთის მერძღვეობა-მეგობსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხეიის სხდომა. სასამართლომ განიხილა ი. რ. ბაირამოვის და ზ. ა. ბაირამოვის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ხორბლის მოპარვა. მოპარულ ხორბალს ბრალდებული თავიანთი მშობლების ბეღლებში ინახავდნენ. გამოირკვა, რომ ტრაქტორისტი ი. რ. ბაირამოვი და კომბაინერი ზ. ა. ბაირამოვი, მოსავლის აღებაზე რომ მუშაობდნენ, სისტემატურად იპარავდნენ ხორბალს. პირველმა მოიპარა 295 კილოგრამი, მეორემ კი — 485 კილოგრამი. ბრალდებულთა მშობლებმა სცადეს გამოეხსნათ ისინი, განაცხადეს, რომ თვითონ შეიძინეს ხორბალი ბაზარზე. მაგრამ გამორკვეულია, რომ ბრალდებულთა მშობლები წელს საერთოდ არ გასულან სოფელ ალგეთიდან, სადაც ცხოვრობენ, გარდა ამისა, აღმოჩენილი ხორბალი არ შეიძლებოდა სხვაგან ყოფილიყო ნაყიდი, იმიტომ რომ ახალი მოსავლის მარცვლეულს გაყიდვა ბაზარზე არ წარმოებს. და, ბოლოს, ანალიზმა დაადასტურა, რომ აღმოჩენილი ხორბალი იგივეა, რაც აღებული საბჭოთა მეურნეობაში.

სასამართლომ ი. რ. ბაირამოვი და ზ. ა. ბაირამოვი დამნაშავედ ცნო და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის (ნაწილი მე-2) ხაფუძველზე მიუსაჯა მათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელ სხეიას სხდომა ჰქონდა იმავე რაიონის არაფლოს მეგობსტნეობა-მერძღვეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ განსამართლებულ იქნენ საბჭოთა მეურნეობის მუშაკები კ. ა. მამედოვი, დ. გ. ისკენდეროვი და ს. ი. რუსტამოვი. პირველმა მოიპარა 150, მეორემ — 250 და მესამემ — 310 კილოგრამი ხორბალი. ხორბალი მოპარულ იქნა საბჭოთა მეურნეობის კალოებზე ლეწვის დროს. ბრალდებულებმა თავი დანაშაულად ცნეს და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით.

სამართლიანობამ გაიმარჯვა, დანაშაულებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს. მაგრამ მარნეულის რაიონის ორ საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეულის დატაცების შემთხვევები გვავალებს სიფხიზლე გამოვიჩინოთ. ეს შემთხვევები ბევრ რამეს მოწმობს. უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ორივე მეურნეობაში ცუდად არის დაყენებული სახელმწიფო საკუთრების დაცვა, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას პროდუქციის აღრიცხვა. ი. რ. ბაირამოვმა, ზ. ა. ბაირამოვმა, კ. ა. მამედოვმა, დ. გ. ისკენდეროვმა და ს. ი. რუსტამოვმა მოსავლის აღების პერიოდში ახალი მოსავლის რაღაც ერთი მუჭა ხორბალი კი არ მოიპარეს, არამედ თითქმის ტონანახევარი. მოსავლის აღების პერიოდი 10-12 დღეს გრძელდებოდა. მაშასადამე, კ. ა. მამედოვსაც კი, რომელმაც ყველაზე ნაკლები მოიპარა, ყოველდღე უნდა გაეტანა საბჭოთა მეურნეობებიდან სულ ცოტა 12-15 კილოგრამი მარცვლეული — ეს არცთუ შეუმჩნეველი ტვირთია.

რაღა უნდა ვთქვათ ზ. ა. ბაირამოვზე, რომელსაც ადვილად შეეძლო ყოველდღე წაეღო მინდვრიდან 40-50 კილოგრამი მარცვალი, თუ დავუშვებთ, რომ ქურდობა დაუბრკოლებლივ ხდებოდა ყოველდღე, — და მით უარესი, თუ ერთ ამად ეტაცა!

ხოლო თუ ვილაპარაკებთ მოსავლის დაცვის ცუდ ორგანიზაციაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ არაფლოს საბჭოთა მეურნეობაში ამას ხშირად ანდობენ შემთხვევით ადამიანებს, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან. რად ღირს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ორი ბრალდებული — სამთავან. კ. ა. მამედოვი და ს. ი. რუსტამოვი, აქვე უსდა ითქვას, ორივე წინათ ნასამართლევი, დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა... პირველი ერთ-ერთი კალოს დარაჯად, მეორე კი — კომბაინის დარაჯად კალოზე?! ორივე ბრალდებულს საბჭოთა მეურნეობის დირექციი დადებითად ახასიათებს. ნუთუ ასეთი დახასიათება დაიმსახურეს ის ადამიანებმა, რომლებიც წინათ გასამართლებულ იქნენ და სასჯელიდან სათანადო გაკვეთილი არ გამოუტანიათ. განა ეს იმასაც არ მოწმობს, რომ არაფლოს მეურნეობაში ზერელედ ეკიდებიან კადრების შერჩევას და მეტისმეტად ადვილად აძლევენ დადებით დახასიათებას ისეთ ადამიანებს, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან.

თუ ჩავიხედავთ ი. რ. ბაირამოვისა და ზ. ა. ბაირამოვის დახასიათებებში, რომლებიც აღგეთის მერძღვეობა-მეგობსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციის წარუდგენია და საქმეშია ჩაკერებული, ორივე დახასიათებაში წავიკითხავთ: „...საკუშაოს თავს ვერ ართმევდა, უდისციპლინო იყო“.

მაგრამ თუ ეს ასეა, სადღა იყვნენ დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია, და ბოლოს, საბჭოთა მეურნეობის მთელი საზოგადოებრიობა, რომლებმაც დროზე ვერ აღკვეთეს დარღვევები და რომელთა თვალწინ დამრღვევები არსებითად დანაშაულებად გადაიქცნენ?

რატომ არ გამოიწვია ზოგიერთი მუშაკის ცუდმა ქცევამ და ნორმების შეუსრულებლობამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ვალიევისა და პარტბიუროს მდივნის ფ. რაზაევის შეშფოთება? რატომ არ შეაშფოთა ამ ფაქტებმა აღგეთის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ასეული კომუნისტი?

მისასალმებელია, რომ ორივე მეურნეობაში საქმის მოსმენის დროს საზოგადოებრივ ბრალმდებლებად გამოვიდნენ მუშები ტ. გაჯიევი (არაფლოს საბჭოთა მეურნეობა) და ი. გაჯიევი (აღგეთის საბჭოთა მეურნეობა), რომლებმაც მოითხოვეს სახალხო დოვლათის დამტაცებლების სასტიკად დასჯა. მხოლოდ სამწუხაროა, რომ საზოგადოებრივობის ხმა უკვე დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაისმა.

სპარტაკიადის გახსნის წინ

მოსკოვი, (სპეც. კორ.). 12 აგვისტოს გაიხსნება პროფკავშირთა VII სპარტაკიადა. საქართველოს სპორტული დელეგაციის შტაბის უფროსმა **ი. ბოჭორიძემ** განაცხადა:

პროფკავშირთა სპარტაკიადა თავის მასშტაბით და მასობრივობით ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობაა. თავის გრანდიოზულობით იგი არ ჩამოუვარდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას.

ჩვენი სპორტული დელეგაცია, რომელიც დაკომპლექტებულია რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებულთაგან, რამდენიმე დღეა იმყოფება მოსკოვში. აქ წვრთნისა და სპარტაკიადისათვის მზადების შესანიშნავი პირობები გვაქვს შექმნილი.

წინასწარ შეხვედრებში წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქალთაბუთელ ქალთა გუნდი, რომელიც ფინლანდიაში გავიდა. ვაქთა გუნდი გუშინ დამარცხდა ლენინგრადელებთან შეხვედრაში და ფინალში ვერ ჩავიდა. დასკვნითის ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საქართველოს ფრენბურთელი ვაჟები.

პირველი ჩემპიონები

მოსკოვში გრძელდება პროფკავშირთა VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება მოფარიკაჭეთა ასპარეზობა. ხმლით ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ნ. ასათიანმა, ბ. სახვიერმა, ა. გოგელიამ, დ. გოგაძემ და ა. შვანგიორაძემ. ამ სპორტსმენებისაგან შემდგარმა გუნდმა წინასწარ შეხვედრებში დაამარცხა მოლდავეთის გუნდი 9:0, ესტონეთის კოლექტივი — 9:4, მოსკოვის გუნდი — 9:6 და ფინალში გავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკაჭეებთან ერთად დასკვნითს ასპარეზობაში გამოდიოდნენ რსფსრ, უკრაინისა და ლენინგრადის სპორტსმენები. ამ შეხვედრებშიც საქართველოს გუნდი შეუპოვრად იბრძოდა და ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ— დაამარცხა ლენინგრადის კოლექტივი 9:7, უკრაინელი მოფარიკაჭეები 9:4 და მხოლოდ რსფსრ გუნდთან მატჩში, როდესაც ანგარიში იყო 8:8, ორი დარტყმით წაგო შეხვედრა.

ამ მაჩვენებლებით საქართველოს მოფარიკაჭეთა კოლექტივი პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

საერთაშორისო შეხვედრა

საერთაშორისო ასპარეზობა ფეხბურთში ჰოლანდიის „ბლაუ ვიტისა“ და ვორონეჟის „ტრუდის“ გუნდებს შორის, რომელიც ვორონეჟში შედგა, დამთავრდა „ტრუდის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

ჩიმკენტში გაიმართა რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში. ადგილობრივი „მეტალურგი“ შეხვდა ქუთაისის „ტორპედოს“. გიმარჯვეს „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა 4:1.

გათუმის ნახევარფინალი

გუშინ ბათუმში გაიმართა საკავშირო საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალის მე-5 ტური.

ოდესელმა ოსტატმა ი. კლოვახმა წარმატებით ჩაატარა პარტია საერთაშორისო ოსტატის ვ. ბაგირიოვის წინააღმდეგ და გაიმარჯვა.

ა. ოროზმანმა დაამარცხა ა. არაქელოვი, ა. გრუშევსკიმ — ა. ახოხინი, ი. მოსიონოქიკა — ი. ხეი. ა. ბუსლაევ-ა. უსტინოვიანა და ვ. ზახარიან-ს. ჰალილბეელის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო. ბ. გურგენიძისა და ა. გიასლისის პარტია არ შემდგარა ა. გიასლისის ავადმყოფობის გამო.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არის მინსკელი ოსტატი ა. ოროზმანი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს. ი. კლოვანს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ი. მოსიონოქიკ — 4 ქულ.

სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ ლენინგრადში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ლენინგრადის „ადმირალტეიცისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. შეხვედრის შედეგი ფრე — 1:1.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესთა პირველი ათეული

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	19	15	1	3	46:19	31
ცსკა	20	13	3	4	55:28	29
„დინამო„ (კ.)	20	12	5	3	41:19	29
„ლოკომოტ“. (მ.)	20	9	8	3	35:23	26
„სპანგარდი“ (ხ.)	19	10	6	3	21:13	26
„სპარტაკი“ (მ.)	20	10	5	5	38:21	25
„დინამო“ (თბ.)	20	10	5	5	36:22	25
„სპარტაკი“ (ერ.)	20	8	7	5	27:26	23
„პახტაკორი“ (ტ.)	20	9	5	6	30:33	23
ცსკა (როსტ.)	19	9	4	6	37:18	22

დასკვნითი ტურნირი 27 აგვისტოდან დაიწყება.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

„ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲐᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
(ᲕᲐᲟᲘ)
15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის თასის გათამაშება
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

თამაშის დასაწყისი 17.45 საათზე ბილეთების ღირასწარი გაყიდვა იწყრმოებს 12 აგვისტოს საღამოს 17 საათიდან „ქარიშხალას“ სტადიონის სალაროებში.

თასის გათამაშებაზე ფასიანი აბონემენტების მფლობელნი იძენენ ბილეთს „ქარიშხალას“ სტადიონის სალაროებში სექტორის, რიგის და ადგილის მიხედვით დღის 12 საათიდან.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ

ჰავანა, 10 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს კონტრრევოლუციონერებმა—